საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ექვთიმე (მჭედელაშვილი)

ექვთიმე (მჭედელაშვილი) (გ. 1804), გარეჯის იოანე ნათლისმცემლის მონასტრის არქიმანდრიტი 1775–1804. იყო ფილოსოფიასა და ღვთისმეტყველებაში დიდად განსწავლული, ერეკლე II-ისა და გიორგი XII-ის კარზე დაახლოებული პირი, სამეურნეო-ეკონ. საქმეების კარგი ორგანიზატორი. ე-მ ააშენა ლეკების მიერ გადამწვარი სოფ. ხაშმი. აშენებდა ვენახებს, წისქვილებს, მიწაზე ასახლებდა უმიწაწყლო გადმოხვეწილ გლეხებს. მისი ინიციატივით იოანე ნათლისმცემლის მონასტერს გადაეცა არაერთი ყოფილი სამეფო მამული. ე-ს თაოსნობით სავანეში ითარგმნებოდა სას. ლიტ-რა. მან საბა ნინოწმინდელის დავალებით, დაწერა წმ. ნინოს საგალობლები. 1797, როდესაც თბილისში შავი ჭირის ეპიდემიამ იფეთქა, უდაბნოს ბერები, ე-ს ხელმძღვანელობით, ეხმარებოდნენ ავადმყოფ და უპოვარ ხალხს. საქართვ. სამოციქულო ეკლესიამ, ეკლესიისა და ერისათვის დამაშვრალი მოღვაწე წმინდანად შერაცხა. ღირსი ექვთიმეს ხსენების დღეა 8 (21) აგვისტო.

ლიტ.: იოანე ბატონიშვილი, კალმასობა, ტ. 2, თბ., 1948; ლ ო მ ი ნ ა ძ ე ბ., ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან (სენიორიები), [ტ.] 1, თბ., 1966; ქართველ წმინდანთა ცხოვრებანი, თბ.–ათენი, 2003.

ბ. ლომინაძე